



შირაკი

SHIRAKI
www.opentext.ge
გამოცემის 1937 წლიდან

№26 (9.542)
20 ივლისი 2012 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

ქვემო ქედელეებს სასმელი წყლის პრობლემა მოუბზარდებათ



სოფელ ქვემო ქედის მოსახლეობისთვის წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა, პრაქტიკულად, 2010 წლიდან დაიწყო. სოფლის დახმარების პროგრამით ამ წელს 2 253 გრძივი მეტრი წყალგაყვანილობის ქსელი მოეწყო.

2011 წელს, იგივე პროგრამით გაგრძელდა სამშენებლო სამუშაოები. მოხდა სადანწეო ამორტიზირებული მილების შეკეთება და 2 000 გრძივი მეტრი შიდა ქსელის მშენებლობა საუბნო ონკანების მოწყობით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის დავით ჯობლაშვილის განცხადებით, მიმდინარე, 2012 წელს უფრო მასშტაბური სამუშაოები დაგეგმილი. მიმდინარეობს შიდა ქსელების რეაბილიტაცია, რის შემდეგაც მოხდება სოფლის მოსახლეობის 60%-ის მომარაგება სასმელი წყლით. აღნიშნული სამუშაოები როგორც სოფლის

ცენტრში, ასევე, განაპირა უბნებშიც განხორციელდება. 2012 წელს, დამატებით, გამოყოფილია 65 000 ლარი, რისი საშუალებითაც მოხდება გამოტოვებული უბნების მომარაგება წყლით.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაგეგმილი აქვს და ახორციელებს სამუშაოებს, რითაც მოხდება სადანწეო ქსელის აწვევა, ძველი ტუმბოების ახლით შეცვლა. აგრეთვე, დაგეგმილია სასმელი წყლის სათავე-ნაგებობასთან ახალი ჭაბურღილის მოწყობა, რაც საგრძობლად გაზრდის სასმელი წყლის დებეტს და სოფელი მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება წყალმომარაგებით.

მიმდინარე წელს მოეწყობა 6 410 გრძივი მეტრი წყალგაყვანილობის ქსელი საუბნო ონკანებით და სოფელ ქვემო ქედის მოსახლეობას საბოლოოდ მოუგვარდება სასმელი წყლის პრობლემა.

18 ივლისს, გვიან ღამით მოსულმა კლირმა წვიმამ, სიტყვამ და ქარიშხალმა საპარტიველოს, კარძოდ კი კახეთს, ღილი ზარალი მიაცხადა. ძალაქ თელავში ფასიანად არის მოთხრილი ხეები. საცხოვრებელ სახლებს გადახდილი აქვთ სასურავები. ასევე, დაზიანებულია კომერციული დაწესებულებები, ბაზონებისაგან მოწყობილი, მარკეტები. დაზიანებულია ბანერები, სარეკლამო აბრები, ჩამოსვრულია ფანჯარები.

ძალაქში ასევე დაზიანებულია ბანათების სისტემა და ელექტროსადენები. დაზიანიდა დაზიანებულია ბანათების გოძები. მთელი ძალაქის მასშტაბით მუშაობა დაიწყო სამსახურეო სამსახურებმა, რომლებსაც საშინაო სამსახურები უხმარებოდა.

სპეციალური კომისიები ზარალის ოდენობას დღემდე ითვლიან.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 19 ივლისს თელავში მთავრობის საგანგებო თათბირზე მინისტრებს სტიქიისაგან დაზარალებულ დასახლებულ პუნქტებში გზების განმეორება, კომუნიკაციების აღდგენა, მოსახლეობის ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართებში დაბინავება და მიყენებული ზიანის აღმოფხვრა დაავალა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, სტიქიის შედეგად თელავში 770 სახლს სახურავი აქვს გადახდილი, 6250 ჰა კი 80 პროცენტით დასეტყვილია.

„გურჯაანში 2800 ჰექტარი დასეტყვა, აქაც ქარმა სახურავი რამდენიმე ასეულ სახლს ახადა. ყვარელში 2028 ჰექტარი დასეტყვა, ლაგოდეხში კი — 580

ჰექტარი. ზარალი, მართლაც, სერიოზულია. უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოთ გზების და კომუნიკაციების აღდგენა. შესაბამისმა უწყებებმა და გამგებლებმა იზრუნონ იმაზე, რომ არცერთი მოქალაქე ღამით ღია ცის ქვეშ არ დარჩეს. თუ საჭიროა, გამოვავზავნით კარებს, საკვებს და შესაბამის ინვენტარს. ჩვენ

ინგრევა და ნადგურდება“, — განაცხადა მთავრობის საგანგებო თათბირზე მიხეილ სააკაშვილმა. მისივე თქმით, ყველა სახურავი საგულდაგულოდ შეკეთდება და მთავრობა იზრუნებს მოკლე დროში ზარალის მაქსიმალურად აღმოფხვრავს. მანვე თავდაცვის მინისტრს დიმიტრი შაშკინს სტიქიით დაზიანებული პუნქტების სამაშველო აღდგენით სამუშაოებში რეზერვისტების და სატივითო ტექნიკის ჩართვა დაავალა. სტიქიის შედეგების აღმოფხვრის პროცესში თავდაცვის სამინისტრო ჩართო. მოზილიზებულია და თელავში გადაყვანილია 1300 რეზერვისტი, სტიქიის ზონაში მუშაობს საინჟინრო ბატალიონი, ადგილზე ასევე გადაყვანილია 30-ზე მეტი

ერთეული ტექნიკა.

„სამხედროები აქტიურად ეხმარებიან სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სტიქიის შედეგების სრულ აღმოფხვრამდე გააგრძელებს ადგილზე მუშაობას“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ენერგეტიკის მინისტრს პრეზიდენტმა კომუნიკაციების აღდგენის თაობაზე ანგარიში მოსთხოვა.

კახეთის რეგიონში სტიქიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოებში დედოფლისწვაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებიც აქტიურად ჩაერთნენ. საჭიროების შემთხვევაში ისინი კვლავ გააგრძელებენ დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას.

მასალა მოამზადა ინგა შიოლაშვილმა

რეგიონებში სასმელი წყლის დაზღვიანება განახევრდა



გვ. 2

მსოფლიო ბანკმა ფიროსმანის მუზეუმი რეაბილიტაციის ნუსხიდან ამოიღო



გვ. 6

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწვაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
 - სამართლებრივი აქტები
 - აუქციონი
 - ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!
- ის, რასაც სხვებთან ვერ ნაიპოვებთ!

www.dedoplistskaro.ge

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტმა სტიქიით დაზარალებული რაიონები პირადად მოინახულა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შედეგებს ადგილზე გაეცნო. მიხეილ სააკაშვილი თელავში ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და მათგან პირადად მოისმინა ის პრობლემები, რომლებიც მათ სტიქიის გამო შეექმნათ. ქვეყნის პირველი პირი კახეთის მოსახლეობას დახმარებასა და ზარალის კომპენსაციას დაპირდა და განაცხადა, რომ მთავრობა დროულად აღმოფხვრის მიყენებულ ზარალს.

„მთელი მთავრობა მობილიზებულია. ვანო მერაბიშვილი არის შტაბის ხელმძღვანელი. არც ერთი დაზარალებული ბინა არ დარჩება შეუკეთებელი. თითოეული სახლი იმაზე უკეთესი გახდება, ვიდრე აქამდე იყო და შეკეთდება ისე, რომ მოულოდნელმა სტიქიამ ვეღარ შეძლოს მათი დაზიანება. მნიშვნელოვანია, სოფლებში მოსახლეობას კომპენსაცია მიეცეთ. ხვალ დილიდან დაიწყება აღწერა. უპირველეს ყოვლისა, მთავრია ელექტრო ენერჯის, წყლისა და ბუნებრივი გაზის მიწოდება აღდგეს, მანამდე კი მოსახლეობა ცისტერნებით უნდა მოვამარაგოთ წყლით. ხვალ დილიდან აღწერი კომისია დაიწყებს მუშაობას და ზარალის დასათვლელად 3-4 დღე იმუშავებს. სასწრაფოდ უნდა გაეცნოს სია, ხალხი დროებით თავშესაფრებში უნდა გადავიყვანოთ. სახლები უნდა შევაკეთოთ და გადავხუროთ“, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრისას.

ქვეყნის პირველი პირი თიანეთსაც ესტუმრა, რადგან სტიქიამ ამ რაიონსაც დიდი ზიანი მიაყენა. პრეზიდენტი ადგილზე გაეცნო წყალდიდობის შედეგებს და მოსახლეობას გაეცნა.

„ხვალ დილიდან ჩამოვა ბრიგადები, რომ სახლები აღდგეს. ამას გარდა, ყველას, ვისაც ნარგავები გაუნადგურდა, კომპენსაცია უნდა მიეცეთ. თიანეთში მოსახლეობის გზაც დაზიანდა. ახლა გზის ამ 8-კილომეტრიანი მონაკვეთის შეკეთებასაც ვინებთ და თიანეთში ყველგან კარგი გზა იქნება“, - განაცხადა მან.

დღესვე მიხეილ სააკაშვილი სოფელ ვაჩნაძისში ჩავიდა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი უსახლკაროდ არის დარჩენილი. ქვეყნის პირველი პირი ადგილობრივ მოსახლეობას აქაც შეხვდა, შექმნილი პრობლემების შესახებ ესაუბრა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება.

„ყველა, ვისაც ვინახი გაუნადგურდა, მიიღებს კომპენსაციას. წელს ყველგან კარგ მოსავალს ველოდებით, მაგრამ მთავრობა ყველაფერს მიხედვას“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა 19 ივლისს გვიან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის სხდომა მოინწვია, რომელსაც მთავრობის წარმომადგენლები სრული შემადგენლობით ესწრებოდნენ. პრეზიდენტმა მათ საგანგებო დავალებები მისცა და დაზარალებულ რაიონებში უკვე შესრულებული სამუშაოებით დაინტერესდა. ქვეყნის პირველმა პირმა ხელისუფლების წარმომადგენლებს, უპირველესად, დაზარალებულთა პირველადი დახმარება და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დაბინავება დაავალა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ამისათვის საგანგებოდ შექმნილ შტაბში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, დაუკავშირდეს შტაბის წარმომადგენლებს, რომლებიც დაუყოვნებლივ მოახდენენ რეაგირებას მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. საუბრისას, პრეზიდენტი ინფრასტრუქტურის აღდგენის თემას შეეხო და განაცხადა, რომ აუცილებელია ხვალ, შუადღემდე გაინიშნოს ყველა გზა. მისი თქმით, დაზარალებული რაიონების დასახმარებლად, ხვალ დილიდან ამ საქმეში თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურიც ჩაერთვება. რამდენიმე დღეში კი სრულად აღდგება კომუნიკაცია - მოსახლეობას ეტაპობრივად აღუდგება ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მიწოდება. მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება სასოფლო-სამეურნეო ნათესებისა და სავარგულების საკითხზე გაამახვილა, რომლებიც სტიქიამ მნიშვნელოვნად დაზიანა. პრეზიდენტმა მოსახლეობისთვის რესტრუქტურის გამოყოფის საკითხი დასვა და მათი კრედიტების რესტრუქტურის გეგმის შემუშავება მოითხოვა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტს განუცხადა, ამასთან დაკავშირებით მთავრობა უკვე მუშაობს და საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ამას გარდა, საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება დაუთმო იმ გეგმებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახალი ვიზიებისა და ტექნოლოგიების შემოტანას ითვალისწინებს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ეს ერთგვარი შვება იქნება იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც სტიქიამ მოსავალი სრულად გაუნადგურა. მან ასევე განმარტა, რომ ამ სფეროში უნდა დაინერგოს დაზღვევის სისტემა, რაც უკვე კარგად არის აპრობირებული განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი მოულოდნელი შემთხვევების შედეგების თავიდან აცილების მიზნით. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ეს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას ემსახურება და, ამ მხრივ, მთავრობა სწორ გზას ადგას, რადგან უცხოელი ექსპერტების შეფასებით, სანიმუშო სამთავრობო პროგრამა გვაქვს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, დაზარალებული მოსახლეობა პირველ მორე და მესამე კატეგორიად დაიყოფა. სამივე კატეგორია მიიღებს სასურსათო დახმარების პაკეტს და ზიანის კატეგორიების მიხედვით, ყველა ოჯახი მიიღებს ფულად კომპენსაციას. საქართველოს ხელისუფლება ასევე განიხილავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კრედიტების რესტრუქტურის საკითხს და აგვარებს ტექნიკურ, ფინანსურ თუ სხვა საკითხებს. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბი 24 საათიანი რეჟიმით იმუშავებს და ამ დღეების განმავლობაში მსგავსი სხდომები რეგულარულად გიმართება. სხდომის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა თელავის რამდენიმე ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.



მთავრობა სასოფლო-სამეურნეო კრედიტების რესტრუქტურის განხორციელებას დაიწყო



პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მთავრობა დაზარალებულ სოფლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კრედიტების

რესტრუქტურის საკითხს განიხილავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, სტიქიით დაზარალებულები სამ კატეგორიად დაიყოფიან, პირველ კატეგორიაში შევლენ ისინი, ვინც მოსავლის 100 პროცენტი დაკარგა და მათ 1300-დან-1500 ლარამდე თანხა გადაეცემა; მეორე კატეგორიაში შევლენ ისინი, ვინც მოსავლის 70 პროცენტი დაკარგა, ისინი 800-იდან-900 ლარამდე თანხას მიიღებენ. მესამე კატეგორიაში კი ის ადამიანები მოხვდებიან, ვინც მოსავლის 50 პროცენტი დაკარგა და მათ 300-იდან 500 ლარამდე თანხა გადაეცემა.

ამის შესახებ მერაბიშვილმა 20 ივლისს, თელავის რაიონის სოფელ შალაურში, მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

ამ დროისთვის თელავის რაიონის სოფლებში სანავის, ფქვილის, ზეთის და სხვა პროდუქტების დარიცხვა მიმდინარეობს.

სტიქიით დაზარალებულს გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი დაეხმარება

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი კახეთში სტიქიით დაზარალებულ 300—მდე ადამიანს სამზარეულოს ნაკრებებს, 10 ლიტრის ტევადობის წყლის ჭურჭელს, გასაშლელ სანოლესს, მატრასებს, საბნებსა და ბალიშებს, ლოგინის თეთრეულის ნაკრებს და ასევე 10 ადამიანისთვის გათვალისწინებულ კარებს დაურთავს.

„გაერო“-ს ლტოლვილთა სააგენტო უთანაგრძნობს ძლიერი წვიმებისა და ქარიშხლის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, რომლებმაც დაკარგეს სახლ-კარი და შინაური ცხოველი. ჩვენ ვცდილობთ, უზრუნველყოთ ისინი რითაც შეგვიძლია, რათა შევუმსუბუქოთ ტანჯვა. გლუკი იმედოვნებს, რომ ეს ოჯახები შეძლებს დაგვარად სწრაფად შეძლებენ დანაკარგის აღდგენას“, — აცხადებს გლუკის წარმომადგენელი საქართველოში სიმონე ვოლკენი.



„სილამაზეს ყოველთვის მოაქვს ზედნიერება“...

ის სილნაღში დაიბადა და გაიზარდა. ყოველთვის აქტიური ბავშვი იყო, უყვარდა მხატვრული ლიტერატურა და თეატრი. ლექსებს მხატვრულად კითხულობდა, თეატრალურ სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. მოგვიანებით ლექსების წერა თვითონაც დაიწყო. მის ცხოვრებაში იყო



მშვენიერი დღეები და წუთები, დიდ ქართველ მგოსნებთან თუ მწერლებთან შეხვედრები...

შემდეგ სიყვარულიც ეწვია. ამაღლებულმა გრძნობამ რომანტიკოს ქალბატონს მშობლიურ რაიონთან გამომშვიდობება „აიძულა“. მოგვიანებით გაჩნდნენ შვილები—ბიჭი და გოგო. ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ... მათ ცხოვრებაშიც გაჩნდა სხვა ქალი და მეუღლეებს შორის ურთიერთობაც გაიზარა. დრომ ეს ბზარი უფრო გააღრმავა, სიყვარულ-

მა ვედარ იძალა და ოჯახიც დაინგრა. იყო დეპრესიაც, საყვარელი ადამიანის ღალატით გამონეულმა იმედგაცრუებამ რომ გამოიწვია, თუმცა შვილებმა ყველა განსაცდელი გადაატანინეს. იმის გაცნობიერებამ, რომ ამიერიდან შვი-

ლებისთვის დედისა და მამის ფუნქციაც მას უნდა შეეთავსებინა, ძალა შემატა და ცხოვრებასთან ბრძოლისთვის მოემზადა. ამ ბრძოლაში კი მას დღეს, რამდენადაც არ უნდა გაგივირდეთ, ყვავილები ეხმარებიან.

ყოველი დილა მისთვის ყვავილებით იწყება. თითოეული მათგანის აყვავება მასში იმხელა სიხარულს იწვევს, რომ ასე ჰგონია, ხელახლა იბადება. „მათი სურნელი, ფერადოვნება მაძლევს ცხოვრების სტიმულს“—ამბობს თამარ ლობჯანიძე.

მას ყვავილების მშვენიერი ბაღი აქვს, ჩითილებიც გამოჰყავს. ამბობს, რომ მათზე ზრუნვა ზედნიერებას ანიჭებს, მათთან ჩვეულებრივად ურთიერთობს, საუბრობს...

ყვავილებთან ურთიერთობა მისთვის ერთგვარი თერაპიაა: „მცენარეები მხმარებიან, მე ხომ მიტოვებული ქალი ვარ და ჩემში, ერთშია გამთლიანებული დედაც, დედაცაც და მამაცაც“... მისი ცხოვრება პარადოქსებითაა აღსავსე, მაგრამ ბუნებით ოპტიმისტია და კიდევ — გამოუსწორებელი რომანტიკოსი...

ეს თვისება ეხმარება, ცხოვრებას, მიუხედავად სიღუჭირებისა, მაინც ღამაში მხრიდან შეხედოს და ქალბატონებს ხშირად საჩუქარიც გაუკეთოს. ყვავილების ბაღიც სწორედ ამიტომ

გააშენა. დღეს ეს ბაღი მისთვის და მისი შვილებისთვის ერთგვარი შემოსავლის წყაროცაა.

ყვავილის ჩითილს ყიდის, თუმცა იშვიათად, ისიც იმიტომ, რომ შვილებს უამრავი რამ სჭირდებათ, გზაზე დაყენება უნდათ. მიაჩნია, რომ ყვავილი უნდა გააჩუქო და ამით ადამიანებს ბედნიერება მიანიჭო. ესეც, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სულის გადარჩენის ერთგვარი მცდელობაა. ვერ იტანს მრუმე, გაცრეცილ ფერებს და სევდით სავსე გამოხედვას, საიდანაც შიში იმზირება. თავის სევდასაც გამუდმებით ებრძვის, ხან ლექსით, ახლა უკვე ყვავილებითაც. „სილამაზეს ყოველთვის მოაქვს ზედნიერება“—ამბობს ის. მეც მას სწორედ ბედნიერებას ვუსურვებ, მის წილ დიდ ბედნიერებას.



ინგა შიოლაშვილი

ერთი დღე პარდების სამყაროში



ერთი წუთით, აქეთ მობრძანდით, -- გზად მიმავალს ერთ-ერთი სახლის ეზოს მესერიდან მეძახის ქალბატონი. გულწრფელად გითხრათ, გული გადამიქანდა, ვიფიქრე, ნეტა, ამ ქალბატონს რაღა პრობლემა აწუხებს, რა უნდა შემომჩივლოს-მეთქი. მოგესხენებათ, ჩვენი სამსახურის თავისებურება, სულ გასაჭირში ჩავარდნილი მოქალაქეები გვანუხებენ და შეველასა და დახმარებას გვთხოვენ, რადგან ჩვენს მიერ დაბეჭდილი სტატიებით საზოგადოებისგან მორალურ თანადგომას ელიან. ხალხის ყურადღებით და პატივისცემით კი, მთლად განებივრებული არ ვართ, იშვიათს თუ ესმის ჩვენი საქმის მძიმე ხვედრი. ჩემი მოპატი-

პედაგოგი, ახლა უკვე ხანში შესული მერი მათიაშვილი.

„მოიცადეთ, ვარდების თაიგული უნდა დაგიკრიფოთ, აირჩიეთ, რომელი ფერის გნებავთ,-- საოცარი სიტოპით და თავაზიანობით მთავაზობს იგი. -- ვარდები კი, სულო და გულო, რა ფერის და რა ჯიშის არ ყვავის. გულწრფელად გითხრათ, ასეთი ღამაზად მოვლილი ვარდების ბაღი და ამხელა სივრცეზე დარგული ყვავილთა მეფე მხოლოდ წინანდლის ბაღში თუ მინახავს.

აი, ეს შარშან გავახარე, უფრო სწორედ იყო და აღვადგინე, მუქი შავი ვარდია, აგერ პირისფერი, თეთრი და, თქვენ

წარმოიდგინეთ, ცისფერი ვარდიც კი მიდგას ბაღში. აგერ ალისფერი, ძალიან იშვიათი ფერის ვარდია, ეს კარდენახიდან მოვიტანეთ...

„ჩეხოვს აქვს ნათქვამი-- „ირგვლივ ამდენი ვარდია, ადამიანებმა კი ის არ იციან, რომ დაკრიფონ და ერთმანეთს აწუქონო,--ამბობს ჩვეული სიმშვიდით ქალბატონი მერი და თავის ნაფერებ ბაღში დიდი სისაბუთით დადის.

„ერთ-ერთ ცნობილ ადამიანს უთქვამს,-- უპრიანია ბაღი, რომელიც სასარგებლოც არის და სასიამოვნოცო, --ჩემს ბაღში სწორედ ასეა, სასარგებლოცაა და სასიამოვნოც, ამბობს იგი.

ვუსმენდი ამ ქალბატონს და საოცრად ვმშვიდდებოდი, არ ვიცი, ეს ღამაში ბაღის ხილვით აიხსნებოდა, თუ მასთან ერთად მშვიდი და საინტერესო საუბრით, თუმცა, ერთი რამ ცხადი იყო,-- ყვავილების სამყარო სასიამოვნო განწყობა დამიტოვა.

„ეს კაკლის ხე მამაჩემის დარგულია, უკვე ძალიან დაბერდა და ერთი მხარე გახმა კიდევ, მაგრამ ის ჩემი ბავშვობის მოგონებებთან ასოცირდება და მენახება მოსაჭრელად, ამასთან, ნაყოფს კვლავ იძლევა. ხუთი ოჯახის წევრიდან მხოლოდ მე დავრჩი ამ ფუტეზე, ორი ბიჭი, ორი დისშვილი მყავს, ამჟამად მოსკოვში ცხოვრობენ, ბავშვობა აი, აქ ამ ეზოში სირბილში გაატარეს, ალბათ დაბრუნდებიან ოდესმე, ისინი არიან ჩემი შვილები“—ამბობს ქალბატონი მერი.

კაკლის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილია, ადგილი არაა მოცდენილი და მის ქვეშ კარტოფილის და ლობიოს ნარგავები სათვალისოდ გამოიყურებოდნენ. „ვარდების ოქროს წამალი,

ყოველ დილით დამჭკნარის მოკრეჭვაა, რაც მეტს მოჭრი, მით მეტად ყვავის, გვიან ზამთრის ყინვებამდე ყვავის ჩემთან ვარდები, მათ მზე და სინათლე უყვართ, გახარებით კი ძალიან ადვილად ვახარებ ხოლმე-- გაზაფხულზე ერთ-ერთ გამოტოვებულ ტოტს ავარჩევ და ხელით ისე ჩავატეხავ, რომ ცოცხა თან გაჰყვეს თავისი ქერქი, მას მინაში ვრგავ და შავ სილას(ღამს) ვაყოლებ, ღამი აუცილებელია, ის უთუოდ ხელს უწყობს დაფესვიანებაში“--გვიყვება ქალბატონი მერი.

თაიგულით ხელდამშვენილებმა დავტოვე ვარდებგადაპენტილი ეზო და თავად ჩემი მასპინძელი. გზაში მასზე და უთვალავ ვარდებზე ფიქრი ამყვა და თვალწინ „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემა წარმომიდგა, სადაც ყოველ დილით ეკა ამაღლობელი არ მახსოვს ვისი, მაგრამ იმერული აქცენტით მოსაუბრე ყვავილების მეზაღესთან სტუმრობს და მისი ბაღიდან მაყურებლისთვის ჩართვებს ამზადებს. რუბრიკა საკმაოდ ყურებადია, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ღამაში სამყარო ჩვენი ესთეტიკური ცხოვრების ნაწილია. ალბათ, არ არსებობს დიასახლისი, რომელმაც დილით საქმეში გართულმა ერთი წუთით მაინც არ შეავლოს თვალი ქალებისთვის მეტად სასიამოვნო და საინტერესო რეპორტაჟს, სადაც ჩვენი მასპინძლები იმ ბაღის ულამაზესი ყვავილები არიან, ყვავილები ხომ ჩვენი, ქალების სისუსტეა?! სწორედ ამიტომ გამიჩნდა იდეა, პრობლემებითა და ყოფითობისგან გადაღლილს ვარდებისთვის მიგვეძღვნა ერთი სტატია.

ლალი მხრიშვილი.

მსოფლიო ბანკმა ფიროსმანის მუზეუმი რეაბილიტაციის ნუსხიდან ამოიღო

მსოფლიო ბანკმა განსახორციელებელი პროექტების ნუსხიდან სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმის განვითარების პროექტი ამოიღო. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა აცნობა.

მისი თქმით, ექსპერტებმა ვითარება ადგილზე შეისწავლეს, შედგა პროექტიც, თუმცა გაირკვა, რომ მუზეუმში სიიდან ამოღებულია. გობეჯიშვილს იმედი აქვს, რომ მსოფლიო ბანკი პროექტს შემდეგ ეტაპზე მაინც დააფინანსებს.

„როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ამ ეტაპზე სიიდან ამოღებულია ნიკო ფიროსმანის მუზეუმის რეაბილიტაციისა და განვითარების პროექტი. მიზეზი ჩემთვის უცნობია. რამდენიმე თვის წინ მსოფლიო ბანკის ექსპერტები სოფელ მირზაანში იყვნენ ჩამოსული, ვითრება ადგილზე შეისწავლეს და თვლიდნენ, რომ ამ პროექტის განხორციელება აუცილებელი იყო. მოგვიანებით, პროექტის განხილვა მსოფლიო ბანკმა თელავში გამართა. ჩვენც მუზეუმის განვითარების, ტურისტების მოზიდვისა და სამომავლო გეგმების პრეზენტაცია მოვანყეთ. არაოფიციალურად ჩემთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ამ ეტაპზე დაფინანსების სიიდან ამოღებულია, თუმცა, მომავალში, მის დაფინანსებაზე მსჯელობა კიდევ იქნება. იმედი გვაქვს, რომ მსოფლიო ბანკის თანადგომით პროექტის განხორციელებას შემდგომ ეტაპზე შე-

ვძლებთ. ვთვლი, რომ კახეთის მასშტაბით ამ მნიშვნელობის ძეგლი და ასე მისახედი სხვა არ გვაქვს, ამიტომ ვფიქრობ, რომ აუცილებლად დაფინანსდება,“ — აღნიშნავს გობეჯიშვილი.

მუზეუმის მმართველის

ციო სამუშაოები დაუყოვნებლივ დაწყებას საჭიროებს. მისივე თქმით, უახლოეს დღეებში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები მირზაანს კიდევ ერთხელ ეწვევიან.

როგორც გობეჯიშვილი განმარტავს, ნიკალას მემო-

ფინანსებით მოახდენს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო სამუშაოებს 40 000 ლარით დააფინანსებს.

„ეს ის შენობაა, სადაც ნიკო ფიროსმანი დაიბადა და

ბა. შენობა დიდი ხანია დაზიანებული იყო და ბოლოს მომხდარმა მიწისძვრამ უფრო დააზიანა,“ — განაცხადა მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა.

მისივე თქმით, უახლოეს პერიოდში ფიროსმანის იმ ნახატებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაშია, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდება.

„თითო ნახატი 100-130 წლის არის, ვიდრე სახელმწიფო მუზეუმის დაცვის ქვეშ მოხვდებოდა, სად ინახებოდა არავინ იცის, ამიტომ ნახატების ნაწილი საკმაოდ დაზიანებულია და მათ აღდგენაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მუშაობს. ექსპერტებმა უკვე შეამოწმეს ნახატების დაზიანების ხარისხი და გადაწყვეტენ პირველ რიგში რომელ ნახატს სჭირდება აღდგენა და კონსერვაციული სამუშაოების ჩატარება,“ — აღნიშნა ნელი გობეჯიშვილმა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის მუზეუმში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს. კახეთის რეგიონში დაგეგმილ სხვადასხვა სამუშაოებსა და ფიროსმანის მუზეუმის დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში საკმაოდ ვრცელი და საინტერესო კომენტარი გააკეთეს, რომელსაც შემდეგ ნომერში შემოვთავაზებთ.

ილია მარტყოფლიშვილი



განმარტებით, ნიკო ფიროსმანის მემორიალური სახლის ტექნიკური მდგომარეობა სავალალოა, ის დროს ვერ გაუძლებს და სარეაბილიტა-

რიალური სახლის გამაგრებას მსოფლიო ბანკის პროექტის დაფინანსებამდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საკუთარი

დღემდე ინახება მისი ნივთები. სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველი აგვისტოდან დაიწყება. როგორც გვითხრეს, შენობის იერსახე არ შეიცვლე-

„არს დრო, არს სივრცე, არს ასაკი უნ არ გეხება“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის საღამო, რომელიც გახსნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რუსუდან ნიშნიანიძემ, მან დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა პოეზიის უგვირგვინო მეფის უკვდავებასა და მარადიულობაზე და აღნიშნა, რომ დრო კი არ გვაშორებს, პირიქით სულ უფრო ახლობელსა და ხელშესახებს ხდის დიდი პოეტის შემოქმედებას.

და სწორედ ამ დროს რწმუნდები ირაკლი აბაშიძის სიტყვების სისწორეში:

„ბოლოს და ბოლოს, თუ ხარ ნაღდი, თუ ხარ ნამდვილი, თუ ხარ ჰოეტი, ხარ და ცისკრის კარი გვადება-შენ შიში ნუ გაქვს საშთავ ჭირის, საშთავ ნადირის: არც დრო, არც სივრცე, არც ასაკი შენ არ გეხება“.

აი, ეს არის გალაქტიონი - ნაღდი, ნამდვილი, საუკუ-

ნეთა გადასახედიდან კიდევ მრავალ თაობას რომ აუფორიაქებს სულს და გონებას, აზიარებს ჭეშმარიტ პოეზიას.

ლონისძიება სამი ნაწილისაგან შედგებოდა, პირველი გახლდათ „გალაქტიონი ახალგაზრდა მხატვრების თვალთ, სადაც თსუ-ს და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა-გიორგი ნამალაშვილმა, ანა კანდელაკმა, მარიამ ნაცვლიშვილმა, მარი შაქარაშვილმა, თორნიკე ნასყიდაშვილმა ფერწერულ ტილოებში წარმოდგინეს გაცოცხლებული, საკუთარი თვალთ დანახული გალაქტიონი.

სტუდენტების ინიციატივას მიესალმა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი დარეჯან თვალთვაძე.

მეორე ნაწილი მთლიანად გალაქტიონის პოეზიას დაეთმო, რომელშიც მონაწილეობდნენ თსუ-ს

თეატრ „სხვენი“ არტისტული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტები(რეჟისორი

გიორგი გომურაშვილი) სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ყველასთვის ცნობილი



უკვდავი სტრიქონები. ხოლო მესამე ნაწილს კი უმასპინძლა 212-ე აუდიტორიის მრგვალმა მაგიდამ თემაზე: „გალაქტიონი და თანამედროვეობა“. საინტერესო იყო თსუ-ს მაგისტრის, ამ ლონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის ნინო აბაშიძის თემა, სიღრმისეული იყო მნიგნობართა დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის ნანა ჭიჭინაძის გამოსვლა, სწორედ მისი ინიციატივით მნიგნობართა რაიონულ ორგანიზაციას შემორანდუმი აქვს გაფორმებული თსუ-ს საზოგადოების ურთიერთობის სამსახურთან. საღამოს დასკვნითი ნაწილი დაამშვენა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ მომზადებულმა თემებმა.

მოკლედ, ეს მშვენიერი ზაფხულის დღე უნივერსიტეტებმა საყოველთაო დღესასწაულად აქციეს. მეცნიერებათა ამ უძველეს ტაძარში ლოცვასავით გაისმოდა: „ჩვენ ვკითხულობთ და გვიყვარს გალაქტიონი“.

მარიკა კოპიაშვილი

შინი სახელი ჰქვია შენს ქუჩას? სოლომონ დოდაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განდევნილების ქალაქ დედოფლისწყაროს ზოგიერთ ქუჩას სახელი შეეცვალა. ჩვენ რამდენიმე მათგანზე უკვე მოგიხსენებდით. ამჯერად, სოლომონ დოდაშვილს გაგაცნობთ, რომლის სახელიც სამთავრობო ქუჩას ეწოდა. სოლომონ დოდაშვილი „დიდი ქართველებს“ სიაში შემთხვევით არ მოხვედრილა. ის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველია, რომელიც ქიზიყის მინამ მობა. დიას, გამოჩენილი ქართველი განმანათლებელი, ფილოსოფოს-ლოგიკოსი, ჟურნალისტი სოლომონ დოდაშვილი დაიბადა ქიზიყში, სილანის მარჯვენა სოფელ მალარში 1805 წელს, მღვდელ იოანე დოდაშვილის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ სწავლობდა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში. სწავლა გააგრძელა სილანის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი — თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1824 წელს, 18 მანეთით ვიბეში, დოდაშვილი გაუდგა გზას შორეული პეტერბურგისკენ. მას ცოდნის მიღების დაუღლებელი წყურველი ამოძრავებდა. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი ქართველი სტუდენტი იყო.

ქალაქ სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულია ცნობა, რომლის მიხედვით დოდაშვილი 1824 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ორიენტული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია, შემდეგ კი 1826 წელს გადაყვანილია „ნამდვილ სტუდენტად და სწავლობს სახელმწიფო ხარჯზე. დოდაშვილის გადაყვანა ნამდვილ სტუდენტად და თანაც სახელმწიფო ხარჯზე, ადასტურებს იმას, რომ პეტერბურგშიც თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე და ნიჭიერი ახალგაზრდა. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ სტუდენტები მაშინ სწავლაში ძალიან დიდ თანხას იხრდნენ (დაახლოებით 800 მანეთს ევრცხლის ფულით წელიწადში), მაშინ გასაგებია გახდება, თუ რაოდენ დიდ დათმობაზე წასულა უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა დოდაშვილის მიმართ.

„ვიკრფე სიბრძნესა მამულისათვის... არა თავისა თავისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვმუშაობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე მსცნოს ივერია სამუალებითა ნერილთა სარწმუნოებითა.“

„ანინდელსა დროსა მამულისა ჩვენიათვის დიდ ფრიად საქირო არს სწავლა.“

„არა გვართა იქმნების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად.“

1827 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ორიენტული ფაკულტეტი. დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თბილისში. იყო გაზეთ „ჭფილისის უწყებანის“ რედაქტორი. 1832 წელს დააპატიმრეს რუსეთის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის. 1834 წელს გადა-

ასახლეს ვიატკაში, სადაც გარდაიცვალა ქლეტი 1936 წელს, 31 წლის ასაკში. ავტორია ფილოსოფიური შრომებისა „ლოგიკა“, „ლოგიკის მეთოდოლოგია“ და „რიტორიკა“. მისმა იდეებმა ხელი შეუწყო თერგდალეულთა მოღვაწეობას. დიდი ღვაწლი მიუძღვის სოლომონ დოდაშვილს ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. იყო ტელეტრისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. დაგვიტოვა მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

სოლომონ დოდაშვილი მოწოდებით მაინც ფილოსოფოსი იყო. მის შრომები ემყარება ანტიკური ეპოქის, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ფილოსოფიის მიღწევებს (პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე, ბეკონი, ლოკი, ვოლტერი, რუსო, კანტი და სხვა).

სოლომონ დოდაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პროგრესული მოაზროვნეა, მეფის რუსეთის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ქართველი თავადაზნაურულ-პატრიოტული ზედაფენის მიერ გაჩაღებულ ბრძოლის უშუალო მონაწილე და მისი აღიარებული იდეური მემკვიდრე.

1832 წლის შეთქმულების მონაწილენი სოლომონ დოდაშვილს რუსეთსა თუ საქართველოში კარგად იცნობდნენ, როგორც მრავალმხრივ განათლებულ მოაზროვნეს, ფილოსოფიასა და იურიდიული მეცნიერების ბრძნელ მიღწევებს დაუფლებულ კვალიფიცირულ სპეციალისტს და ანგარიშგასწავლ პიროვნებას.

სოლომონ დოდაშვილმა პირველმა დასვა და მეცნიერულად გაიზარა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტუალურობა, მომავლის მიზნები და პერსპექტივები. მის მიერ დასახული პოლიტიკური მიზნები სამოქმედო პროგრამად გაიხადეს ქართველმა სამოციანელებმა. ამას ადასტურებს სერგეი მესხისა და ილია ჭავჭავაძის გამოცემული გაზეთი „დროებაში“ ერთ-ერთი შეკრების დროს.

სოლომონ დოდაშვილი საქართველოს შვერტებს რუსეთთან პროგრესულ მოვლენად თვლიდა, თუმცა 1832 წლის შეთქმულების გამოძღვლებიდან, უმკაცრესი რეპრესიების გამო, კატეგორიულად შეიცვალა აზრი და სასწრაფოდ მოითხოვდა რუსეთისგან საქართველოს ჩამოშორებას. ეს ყოველივე კარგად აისახა მის მიერ დაწერილ „სიტყვა-მონოგრაფიას“ და ლექსში „მამის“, სადაც იგი ქართველობას შეიარაღებული აჯანყებისკენ მოუწოდებდა.

1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორი მალაღი წოდების ქართველობა ეჭვის თვალით უყურებდა გლეხური წარმოშობის ინტელიგენციის, სოლომონ დოდაშვილის შეთქმულებაში მონაწილეობას, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ იგი ამ მოძრაობას საბოლოოდ ჩამოშორდა, თუმცა გადასახლება მანაც ვერ ასცდა.


იგი უარყოფდა საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენას

და რესპუბლიკურ პრინციპებზე აგებული წყობილების მომხრე იყო გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემთხვევაში.

სოლომონ დოდაშვილი დანტრესდა ქართული ეროვნული ზნე-ჩვეულებების საფუძვლიანი შესწავლითა და შეკრებით, აგრეთვე გამოქვეყნებით. მკაცრად აკრიტიკებდა რუსულ კანონმდებლობას და რუსულ მმართველობას, ქართულ ადათ-წესებს ხმაღამოღებული იცავდა გამყალბებელთაგან.

იგი თავისი ეპოქის პირში იყო, იზარებდა მისი დროის მსოფლმხედველობის დადებითსა და უარყოფით მხარეებს, იდგა მისი თანამედროვეობის დონეზე ფილოსოფიის ყველა დარგში, მათ შორის ნატურფილოსოფიაშიც.

„მამულის საქმენი მარადის პირველი აღასრულეთი“, — მარად ერთგული დარჩა სოლომონ დოდაშვილი ამ სიტყვებისადმი. და თუ მის კვლავ გაჩნდნენ მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები თუ სხვადასხვა დარგში მოღვაწე რჩეული მამულომელები,



რომლებმაც ქართულ სულიერ ძალებს სითამამე და გამბედაობა მიანიჭეს რუსულ თუ ევროპულ კულტურასთან ურთიერთობით, ეს უთუოდ სოლომონ დოდაშვილის დამსახურებაც იყო იმ მკაცრ დროში. მისი „ლოგიკა“ სწორედ ამ საფრთხის აღმკვეთი პირველი ნაბურთავია და წარუხიციელი კულტურული ფასეულობა.

სოლომონ დოდაშვილი მიეკუთვნება თავისი დროის ქართველი ინტელიგენციის იმ მონიანე ადამიანთა რიცხვს, რომლებიც გადაუდებელ საქმედ თვლიდნენ მსოფლიო კულტურიდან ახალი ცოდნის ათვისებას, ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის გამდიდრებასა და განვითარებას. ცალკე უნდა აღინიშნოს სოლომონ დოდაშვილის შეხედულებანი პედაგოგიკაზე.

სოლომონ დოდაშვილს ძალზე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე მონიანე რუს თუ უცხოელ მწერლებთან და პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებთან. სოლომონ დოდაშვილი დიდი განმანათლებელი იყო. მისი აზრით, სკოლისა და ოჯახის

მთავარი ამოცანაა სამშობლოს, ხალხთა სიყვარულით ბავშვების აღზრდა. ამისთვის საჭიროა მეცნიერულად გამართული მეთოდებით შეიარაღებული გამოცდილი ოსტატ-მასწავლებლები. სოლომონ დოდაშვილს მიაჩნია, რომ უმჯობესია მოხობას ინვესტ, განათლება კი მთავარი გზაა „დაცინებული მოქალაქეობრივი თავისუფლების“ აღსადგენად. ხალხურობა, პატრიოტიზმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახური მისთვის განმანათლებლობის საფუძველს და მისი მოღვაწეობის მამოძრავებელ იდეალს წარმოადგენდა.

დიდი მამულომედი და პატრიოტი შორს იდგა ვინრონაციონალისტური გაგებისგან. სისტემატური და საფუძვლიანი სწავლების პრინციპს მოზარდად ყოველმხრივი განვითარების მთავარ პირობად აღიარებდა. ძალზე ფასეულია სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი. მას ძალზე ახლო სულიერი ნათესაობა აკავშირებდა რუს დეკაბრისტებთან და მონიანე, პროგრესულად მოაზროვნე რევოლუციონერ-დემოკრატებთან, განსაკუთრებით დეკაბრისტ კ. რილეევსა და ა. ფერცენთან.

რუსი ხალხისა და მისი ინტელიგენციის დიდი პატივისცემელი სოლომონ დოდაშვილი, ამავე დროს, ცარიზმის შურთავიერი მონიანადმდეგე იყო.

ცალკე უნდა აღინიშნოს დოდაშვილის ჟურნალისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. ხელმძღვანელობს რა „ჭფილისის უწყებებს“ — ქართულ საგაზეთო გამოცემას, პარალელურად არსებს ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ დამატებას.

ილიამ და სერგეი მესხმა 70-იან წლებში სოლომონ დოდაშვილი აღიარეს ქართული ჟურნალისტიკის მემკვიდრედ. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი აგრეთვე და ძალზე ფასეული მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით 1825-32 წლებში დაწერილი წერილები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი მიმონერა ირან ხელაშვილთან, რომელიც ამავე დროს იყო დოდაშვილის იდეური ხელმძღვანელი და საინტერესო მოაქვერე.

სოლომონ დოდაშვილი იყო განმანათლებელი და ჰუმანისტი.

დიმიტრი კალანდაძის აზრით: „მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში მოღვაწეობის პროცესში ს. დოდაშვილი გამოიკვთა როგორც მგზნებარე პატრიოტი, დაულალავ საზოგადოებრივი მოღვაწე, დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი. განუკუთრებელი თავისი ხალხის დიდი მოჭირანხულე იყო და ქართველი ერის სახელისა და ღირსების შორს გატანაზე ოცნებობდა. მან, როგორც ცოდნის ლამაზარმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების საქმეში.“

სოლომონ დოდაშვილმა არაერთი და ორი ათეული მოსწავლე აღზარდა. სწორედ მან გააღვივა 13-14 წლის

ნიკოლოზ ბარათაშვილის აზროვნებაში პროტესტანტული, მეამბოხე სული. ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, „თუ ს. დოდაშვილი არ ყოფილიყო, შეიძლებოდა არც ბარათაშვილიც ყოფილიყო.“ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სოლომონ დოდაშვილი სამართლიანადაა მიჩნეული „მწიგნობრობის ხანგრძლივი ისტორიული ეპოქის შემდეგ მიძინებული ქართული რენესანსის ხელახალი გამოცოცხლების პიონერად.“ ილიას თქმით კი: „ევროპეიზმის ფუძემდებელია საქართველოში.“

1832 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებაში მონაწილეობის ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი არგუმენტების მიუხედავად, 1834 წლის 24 ივლისს სოლომონ დოდაშვილი გაუყენეს შორეული ვიატკის (შემდგომში კორეის) კაზას. მასთან ერთად მიდიოდა მისი მეუღლე ელენე კობაშვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვით და დოდაშვილის მეგობარი, მეთქმულების მონაწილე, სოლომონ რაზმაძე, რომელიც პენზაში იყო გადასახლებული. იგი მათ ამ ქალაქში გამოეთხოვა, დოდაშვილების ოჯახმა კი გზა განაგრძო ვიატკისკენ და ერთი თვისა და რვა დღის მგზავრობის შემდეგ ჩავიდნენ დანიშნულებისამებრ. დოდაშვილი შეუდგა მუშაობას საგუბერნიო კანცელარიაში დადამწერად. უფრო მძიმე სასჯელი მოგონება შეუძლებელი იყო — გადაიკეტა მისი შემოქმედებითი გზა, გენოსი შემოქმედით ასლების უბრალო გადასახლება იქვე, მაგრამ მისმა შრომისმოყვარეობამ და ნიჭმა აქაც იჩინა თავი. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ მას აწინაურებენ მაგიდის უფროსის თანამდებობაზე, სადაც იგი სიკვდილამდე მუშაობდა. მძიმე ყოფილა მისი მდგომარეობა გადასახლებაში. შემოსავალი მის ოჯახს გამოსაკვებადაც არ ჰყოფნიდა. დოდაშვილების ვალმა ვიატკაში ვერცხლის ფულით 600 მანეთს მიაღწია.

სოლომონ დოდაშვილი 1836 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა. იგი დაიკრძალა „აქტივის სასაფლაოზე“ და მისი ოცნება, ქართულ მინამი დამარულიყო, ოცნებად დარჩა. იმავე წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა მისი 2 წლის ქალიშვილი ანა, რომელიც მას, გადასახლებაში ყოფნისას შეეძინა. ისიც იმავე „აქტივის სასაფლაოზე“ დაკრძალულია. 1836 წელსვე გარდაიცვალა მისი ვაჟი კონსტანტინე, დარჩა ერთი ვაჟი ივანე, იგივე იოანე, რომელიც შემდგომში თბილისში გუბერნიის კანცელარიაში მაგიდის უფროსის მთავრობად მუშაობდა. მან 1852 წელს ვიატკის გუბერნატორის სახელზე გააგზავნა განცხადება, სადაც თხოვლობდა ვიატკაში მამის ნამსახურების სიას, მაგრამ მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მამამისი სოლომონი ამ თანამდებობაზე დანიშნული იყო გუბერნატორის სიტყვიერი დასასაბუთების შედეგად და არა ოფიციალური დადგენილების საფუძველზე. ასე დასრულდა დიდი ქართველი მოაზროვნის ცხოვრება სამშობლოდან შორს 31 წლის ასაკში.

ნაირა გორაშვილი

ს ს ს ს ს

ქვემოთ კირვალში



13 ივნისს წავიდა ჩვენგან ჩვენი საუკეთესო მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მამა და მეუღლე, სოფელ არბოშიკის კოლონიატი, დედოფლისწყაროს მომღერალთა გუნდის „ხორნაბუჯის“ წევრი, კარგი მომღერალი და მუსიკალური ინსტრუმენტთა დიდოსტატი. 40 დღე სრულდება მისი წასვლიდან და მოუნებლად ტკივილად რჩება მისი ჩვენთან არყოფნა, რადგანაც პირველი კლასიდან დაწყებული, 58 წლის მანძილზე მთელი კლასი აქტიურად და ერთგულად ვანაყოფობდა, განსაკუთრებით 27 ივლისს, კვირიკობას, სადაც იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მომხიბვლებელი ხმით და მუსიკალური ინსტრუმენტებზე დაკრის ნიჭით, საუკეთესო თამადაობით და დეკლამატორობით. სწორედ აღნიშნული ტკივილის და მონატრების გამო მივძღვნა ეს მოკრძალებული ლექსი, რომელიც გულში დაგვრჩება

სიცოცხლის ბოლომდე, მის პატივსაცემად:

როგორ დახვები სიკვდილის ბრწყინებულს,
თურმე რა დიდი გული გქონია,
თავი ამხნევედი შეუდგეს, შეიღებს,
თუმორით და ტკბილი დიდებით,
შენ სომ სიმღერის ქაშაშა იფი,
ქუშამოხული ღალისფერ ღვინით.
ქართული სუფრის მაღლი რაოსავა,
შენს თამადაობას დემოტივ ლოცავდა,
და თამადაობაც სიმღერას ჰგავდა,
შენი სახე კი ღვთისკაცს მოგვავდა.
ვევლას დაკლდი - მყოფდეს, შეიღებს,
ვთა გაუძლებენ ამგენ ტკივილებს,
სოფლის დაკლდი დიდსა და მცირეს,
ბეჭდი სომ ალად წრემლით გიტრებებს.
ჩვენ სომ დაგვაკლდი-სიჭმის მგობრებს,
ნამს რას ეტყვი ნეტავ,
ამდენი წელი ერთად ვიუფეთ,

სურგის შექცევას შენ როგორ ბედავ,
მოგვწაბრება შენი „ჩონჯურო“,
და საქართველოს სადიდებელი,
მოგვწაბრება ის ბოშა ქალღი,
გიტარის ზანგ ზე აცეკვებელი.
ან როგორ მივალთ 27 ივლისს
კვირიკის სატანს, ღვთისმშობლის ნიშანს,
ან როგორ აწვეთ უშეიოდ სსმისს
ღვთის სადიდებელ და ქართველ ვაითა.
მაგრამ შენც მოხვალ, ჩვენთან იქნები,
შენი სიმღერით, შენი ფიქრებით,
ვევალ ამდღებში თავდაფრწყებით,
შენ შენი სიმღერად ვადაიქცევი
ვევალ ჩასახლები შენს ტკბილ ოჯახში,
სურგის სსმით, თამარის სსმით,
შენი ცვიოს და ქეთინოს სსმით,
და ჩვენც მოგისმენთ, ჩვენც გნახავთ მაშინ.

თანადასკოლი

სპორტი

ჭადრაკის საერთაშორისო დღე



1966 წლიდან, მთელ მსოფლიოში, 20 ივლისს აღინიშნება ჭადრაკის საერთაშორისო დღე (International Chess Day). დღესასწაული ტარდება ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის - „ფიდეს“ დადგენილებით.

ჭადრაკი ძველთაგანვე პოპულარულია საქართველოში - ეს თამაში მოხსენიებულია მრავალ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროში და ძველში. პირველად ვხვდებით ბასილი დი-

დის თხზულებაში „ექუსთა დღეთა“ რომელიც XI საუკუნის საეკლესიო მოღვაწემ გიორგი ათონელმა გადმოაქართულა. საგარეუდოა, რომ ჭადრაკი ჩვენში ან ინდოელი ვაჭრების, ან სპარსელების შემოტანილია. ყოველ შემთხვევაში, იგი საქართველოში არაბთა მოსვლამდე იყო ცნობილი. თანდათან ჭადრაკმა საპატიო ადგილი დაიკვიდრა ქართველი კაცის ცხოვრებაში, იმდენად საპატიო, რომ ქალს მზითვად გენიალურ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ. შედეგად სათანადოდ მოვიმკეთ - გვაყვდა ქალთა შორის მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონები და მათ საპატივცემულოდ მრავალი ქვეყნისთვის შესაშური ჭადრაკის სასახლეც აიგო თბილისში.

კიკ-ბოქსინგი



14 ივლისს ქ.თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კიკ-ბოქსინგში, სადაც სტუმრად იმყოფებოდა აზერბაიჯანის, ირანის და ავღანეთის გუნდები. დედოფლისწყაროს უშუ-ს კლუბი „არმა“-ც მონაწილეობდა ამ შეჯიბრზე სამი სპორტსმენით, გიორგი ცისკარაულის ხელმძღვანელობით. ჩვენი გუნდი ორი ჩემპიონით დაბრუნდა, ხოლო ერთი მეორე ადგილზე გავიდა. პირველ რიგში აღსანიშნავია მძიმე წონისანი ლევან თეთრაულის გამოსვლა, რომელიც 80 კგ-წონით კატეგორიაში ორ ირანელ სპორტსმენს შეხვდა და ორივე აშკარა უპირატესობით დამარცხა, ფინალურ ბრძოლაში კი მან მონინააღმდგის

ნოკდაუნში გაგზავნა მოახერხა და შეჯიბრი დროზე ადრე დაასრულა. ასევე ორი ბრძოლის მოგება შეძლო და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა ნიკა ჩიტბიძე (№1 საჯარო სკოლა) მან მონინააღმდგეების დამარცხება საკმაოდ ადვილად შეძლო. ხოლო მეორე ადგილზე გავიდა ლევან ნიკლაური (ხორნაბუჯის საჯარო სკოლა) ის საკმაოდ დაძაბულ ფინალურ ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე ქულით დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა. კლუბი მაღლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის დირექტორს ბატონ ივანე შანშიაშვილს გვერდში დგომისთვის.

კიდევ ახალი წარმატება კიკ-ბოქსინგში

13-14 ივლისს ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკ-ბოქსინგში. მონაწილეობდა ხუთი ქვეყანა. მათ შორის მონაწილეობა მიიღო ზემო მარხაის გუნდიდან ორმა

სპორტსმენმა. ესენი არიან გიორგი და სანდრო ნატროშვილები. გიორგიმ 39კგ-ში დაიკავა პირველი ადგილი, სანდრომ 32 კგ-ში დაიკავა პირველი ადგილი.

ნინი ბალუაშვილი დედოფლისწყაროს ენია

ახალი თაობის წარმომადგენელი, ცნობილი ქართველი მომღერალი ნინი ბალუაშვილი კახეთში საკონცერტო ტურნეს იწყებს. როგორც გაზეთ „შირაქს“ ტურნეს პროდიუსერმა ბექა ხალათაშვილმა აცნობა, ბალუაშვილი ქალაქ დედოფლისწყაროს, საგარეუდოდ, შაბათს 28 ივლისს ექვევება.



სოლო კონცერტი ქალაქ დედოფლისწყაროში, კულტურის სახლის სცენაზე 17:00 საათზე გაიმართება და, უკვე ცნობილია, რომ მასზე დასწრება უფასო იქნება.

„დიდი მაღლობა ნინის, რომ კახეთში ტურნეს ჩატარების სურვილი გამოთქვა, ძალიან მოხარული ვარ, რომ დასწრება თავისუფალი იქნება. ამჯერად კახეთის ყველა რაიონს მოვივლით, შემდეგ კი სხვა რეგიონებში გადავინაცვლებთ.“ — აღნიშნა ბექა ხალათაშვილმა. დამატებითი დეტალების დასაზუსტებლად პროდიუსერი დედოფლისწყაროში უახლოეს დღეებში ჩამოვა და კულტურის სამსახურის ადგილობრივ წარმომადგენლებს შეხვდება.

ნინი ბალუაშვილი ამჯერად მსმენელისთვის კარგად ნაცნობ 20-მდე სიმღერას შეასრულებს.

გაზეთ „შირაქს“ ინფორმაციით, შესვენებების დროს მომღერალს დედოფლისწყაროში მოქმედი ანსამბლები სპეციალური ნომრით შეცვლიან, ისინი რამდენიმე ცეკვას შეასრულებენ.

„ასეთი პრაქტიკა გვაქვს, ყველა ტურნეს დროს მაქსიმალურად ვცდილობთ, ადგილობრივი ანსამბლებიც ჩავერთოთ, ხელი შევუწყნოთ მათ პოპულარიზაციასაც და შესვენების საშუალება მომღერალს ადგილობრივი ანსამბლების ხარჯზე მივცეთ. ვერ არ ვართ ჩამოყალიბებული, კონკრეტულად რომელი

ანსამბლი მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ესლავე შემოიღია დაგიდასტუროთ, რომ ერთ-ერთი ადგილობრივი ანსამბლი უდაოდ იქნება,“ — აღნიშნავს ხალათაშვილი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ტურნე კახეთის გუბერნიის მხარდაჭერით გაიმართება.

ილია მარტყოფლიძე

დაეხმარე სამლოცველო სახლის რესტავრაციას

დედოფლისწყაროელებმა ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სამლოცველო სახლის რესტავრაციისთვის საჭირო თანხების მოგროვებისთვის საინფორმაციო კამპანია წამოიწყო. გახსნილია სპეციალური საბანკო ანგარიში, სადაც მსურველებს ნებისმიერი ოდენობით შემოწირულობის გაკეთება შეუძლიათ.

ინფორმაცია და საბანკო რეკვიზიტები უკვე აქტიურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. კამპანიის საინფორმაციო მხარდაჭერას გასწევენ დედოფლისწყაროში მოქმედი მედიასაშუალებები, გაზეთი „შირაქი“ და „ქიზიყი“

საინიციატივო ჯგუფის წევრების განმარტებით, ქალაქ დედოფლისწყაროში 9 აპრილის ქუჩაზე ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლის სრული რეკონსტრუქცია და მშენებლობა უახლოეს მომავალში იწყება.

„ვიდრე დედოფლისწყაროს ცენტრში ახალი ტაძრის აგება მოხერხდებოდა და მშენებლობას დავასრულებდით, დედოფლისწყაროელები სალოცავად მხოლოდ ამ სამლოცველო სახლში იკრიბებოდნენ. ბევრი მათგანი ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობს, ნაწილს საკმაოდ კარგი შემოსავლები აქვს. ეს სამლოცველო სახლი კი დღეს ჩვენს თანადგომას საჭიროებს. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეს კამპანია წამოვიწყოთ. ვფიქრობთ, რომ მის ბედზე ბევრ ადამიანს შესტიკვა გული და შეძლებისდაგვარად ბევრი გაიღებს შემოწირულობას. ჩვენი მთავარი მიზანია, ინფორმაცია მაქსიმალურად გავრცელდეს და ჩვენს თითოეულ ემიგრანტადე მივიღეს, ამაში კი პრესის დახმარება მნიშვნელოვანია,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ კამპანიის ერთ-ერთმა ინიციატორმა ვაჟა პაპუაშვილმა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ ამ დიდ საღვთო საქმეში.

ბანკის რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ დედოფლისწყაროს ფილიალი 220101453

ბანკის კოდი /SWIFT code :LBRTGE22

ღვთისმშობლის შობის სამლოცველო სახლი 228534565

GEL-GE48LB0122153831112000

USD-GE21LB0122153831112001

EUR-GE91LBO122153831112002

გვარავდეთ უფალი!



მგზავრთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ 1 ივლისიდან დედოფლისწყარო - თბილისის ხაზის სამარშრუტო ტაქსიში თბილისიდან, 12 საათამდე ორთაჭალის სადგურიდან გამოვლენ, ხოლო 12 საათის შემდეგ ორთაჭალის ავტოსადგომის ნაცვლად, გამოვლენ „ისინიდან“, კერძოდ, მეტრო „ისანის“ გადასწვრივ პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან. დედოფლისწყაროდან მიმავალ მგზავრს, საჭიროების შემთხვევაში, ჩაიყვანენ ორთაჭალის სადგურამდე. უცვლელი დარჩება სამომხრო გრაფიკი და ფასი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

ა მ ი ნ დ ი		დედოფლისწყარო															
შაბათი 21.07	კვირა 22.07	ორშაბათი 23.07	სამშაბათი 24.07	ოთხშაბათი 25.07	ხუთშაბათი 26.07	პარასკევი 27.07											
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
25°	20°	24°	21°	24°	22°	26°	24°	26°	25°	26°	24°	25°	23°				

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილობითი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხერბიძე (კორექსორი); მინაილ მღაზრიანი (სტილისტ-მწერელი); ნათელა შოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ფინანს-მწერელი); მზინა ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბდოდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში	რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფრონის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	---	---	---